



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ელენე კვარაცხელია

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და სამხრეთ კავკასიის
ქვეყნები

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერებათა მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი - ზვიად აბაშიძე

პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2018

ა ნ ო ტ ა ც ი ა

სტუდენტი - ელენე კვარაცხელია

სამაგისტრო თემა - ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები

სამაგისტრო ნაშრომი ეხება ევროკავშირის პოლიტიკურ ურთიერთობებს სამხრეთ კავკასიის პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებთან - საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი.

წინამდებარე გამოკვლევაში გაანალიზებულია ამ პოლიტიკის არსი, ძირითადი ეტაპები, პარტნიორობის ფორმები და მეთოდები, აგრეთვე, მისი გავლენა აღნიშნული ქვეყნების პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე. განხილულია დოკუმენტები და ხელშეკრულებები, სადაც დაფიქსირებულია ეს ურთიერთობები.

ნაშრომში გამოყენებულია ჩვენს მიერ ექსკლუზიურად ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის მასალები და შედეგები, რომელმაც საშუალება მოგვცა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის პერსპექტივებთან დაკავშირებით გაგვეკეთებინა გარკვეული ხასიათის პროგნოზები.

Annotation

Student – **Elene Kvaratskhelia**

Topic for Master's Thesis – European Neighbourhood Policy and the South Caucasus Countries

Master's thesis refers to the political relations of the European Union with the post-Soviet Transcaucasian Countries-Georgia, Armenia and Azerbaijan.

The essence of this policy, basic stages, types and methods of partnership the effect of the latter on political, social and economic condition of the mentioned countries are analyzed in the current study. In addition, documents and treaties referring the mentioned relations are also reviewed.

Results and materials obtained by our exclusive sociological research are used in the thesis that enabled us to make certain type of prognosis in regard of the prospects of EU neighboring policy towards the South Caucasus countries.

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	5 გვ.
თავი 1. ევროკავშირის შექმნის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები.....	8-16 გვ.
1.1. ევროკავშირის შექმნის ისტორიული ეტაპები.....	8 გვ.
1.2. ევროპული სამეზობლო პოლიტიკა.....	11 გვ.
თავი 2. ევროკავშირი და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები.....	17-32 გვ.
2.1. სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა	17 გვ.
2.2. საქართველო.....	20 გვ.
2.3. სომხეთი.....	27 გვ.
2.4. აზერბაიჯანი.....	30 გვ.
თავი 3. თანამშრომლობის შედეგები და პერსპექტივები.....	33-43 გვ.
3.1. ევროკავშირის წინაშე არსებული გამოწვევები	33 გვ.
3.2. საქართველოს ევროპული პერსპექტივები.....	34 გვ.
3.3. სოციოლოგიური გამოკვლევა საქართველოს საგარეო ორიენტაციასთან დაკავშირებით მოქალაქეთა აზრის შესასწავლად	36 გვ.
3.3.1 სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებითი ანალიზი საქართველოს საგარეო ორიენტაციასთან დაკავშირებით.....	41 გვ.
დასკვნა.....	44 გვ.
გამოყენებული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიული ნუსხა	46 გვ.

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობა

თანამედროვე მსოფლიოში ევროკავშირი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გაერთიანებაა როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული, ასევე სამხედრო თვალსაზრისითაც. ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დიდმა ბრიტანეთმა ქვეყანაში ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე დატოვა გაერთიანება, თითქოს ჩნდება ერთგვარი ევროსკეპტიციზმი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ევროკავშირი მაინც რჩება მსოფლიო მნიშვნელობის იმ მოთამაშედ, რომელიც პლანეტაზე მიმდინარე ყველა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ სფეროში მონაწილეობს და სერიოზულ გავლენასაც ახდენს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების, მათ შორის, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების არამარტო დაინტერესება ევროკავშირით, არამედ ლტოლვა, რომელსაც ისინი ამ გაერთიანების მიმართ ავლენენ.

ნაშრომის მიზანი და ამოცანები

ნაშრომის მიზანია, დამოუკიდებლობა მოპოვებულ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში - საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი - ევროკავშირის პოლიტიკის აქტუალური პროცესების განხილვა, დემოკრატიზაციისა და სუვერენულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბების ურთულეს პროცესში ამ უზარმაზარი გაერთიანების როლის გაანალიზება.

ნაშრომის ამოცანაა, ევროკავშირში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების გაანალიზება და ამ პროცესების ანალიზის ფონზე გარკვევა და ჩამოყალიბება იმისა, თუ რა გავლენას ახდენენ ეს პროცესები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებზე, პერსპექტივაში მათი ევროინტეგრაციის გზაზე.

საკვლევი ჰიპოთეზა

ევროპა საქართველოს არამხოლოდ დღევანდელი, არამედ ისტორიული არჩევანია. ეს არის გზა, რომელიც მთელი ორი საუკუნის განმავლობაში ისტორიული კონტექსტიდან ხელოვნურად ამოგდებული სახელმწიფოს დემოკრატიულ

შემობრუნება-განვითარებას და მის სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლას უზრუნველყოფს. საქართველოსგან განსხვავებით, ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის არჩევანი ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრირების ნაცვლად კვლავ რუსეთის ორბიტაში დარჩენაა, რასაც გარკვეული ობიექტური ფაქტორების არსებობის მიუხედავად, ძირითადად, მაინც სუბიექტური ფაქტორები განაპირობებენ.

საკვლევი კითხვები:

1. რამ განაპირობა აღმოსავლეთ პარტნიორობის თანამშრომლობის დაწყება?
2. რა შედეგები აქვს ამ პროგრამის რეალიზებას ევროინტეგრაციის გზაზე სხვადასხვა პარტნიორ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში?
3. რა არის ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორი?

კვლევის მეთოდი

კვლევაში, გამოყენებული გვაქვს ჩვენს მიერ ექსკლუზიურად ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის (კერძოდ, ანკეტური გამოკითხვის) შედეგები.

ლიტერატურის მიმოხილვა

ჩვენს ნაშრომში გამოყენებული გვაქვს საკვლევ თემასთან დაკავშირებული ქართული, ინგლისური, რუსული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები, ასევე საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის მიერ გამოცემული დოკუმენტები, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მიერ გამოცემული „ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო“, საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს, საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის გამოცემები.

ნაშრომის საბოლოო დასკვნების გაკეთებისას ვეყრდნობოდით არამარტო ოფიციალურ დოკუმენტებსა და საკითხთან დაკავშირებით არსებულ ლიტერატურას, არამედ ჩვენს მიერ ამ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად ჩატარებულ კონკრეტულ გამოკითხვას გამოყენებით სოციოლოგიაში აპრობირებული მეცნიერული მეთოდის გამოყენებით.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი გარკვეული თვალსაზრისით შეავსებს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებში ევროკავშირის პოლიტიკის შესახებ არსებულ ჯერ კიდევ საკმაოდ მწირ ლიტერატურას. ექსპერტთა მიერ გაკეთებული ანალიზისა და ჩვენი კვლევის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები კი შესაძლოა გამოყენებულ იქნას სალექციო კურსის მოსამზადებლად. ნაშრომი ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მეტნაკლებად სრულყოფილ წარმოდგენას შეუქმნის განხილულ აქტუალურ საკითხებზე.

თავი 1.

ევროინტეგრაციის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლები

1.1 ევროკავშირის შექმნის ისტორიული ეტაპები

XX საუკუნეში ევროპაში არსებულმა ძალზედ მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ ევროპის ქვეყნები იძულებული გახადა გაერთიანებულიყვნენ. მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ევროპამ ორი მსოფლიო ომი გადაიტანა, რამაც ყველა ქვეყანაში დატოვა კვალი - ათეულ მილიონობით მსხვერპლი, განადგურებული ქალაქები, დანგრეული ეკონომიკა, მოშლილი კომუნიკაციები. ევროპის სახელმწიფოებმა დაიწყეს გზებისა და საშუალებების ძიება მომავალში მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტიებისათვის. მათ თანდათან გააცნობიერეს ერთიანობისა და მჭიდრო თანამშრომლობის იდეა და დაადგინეს პრინციპულ პოლიტიკას, რომლის მიზანი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაცია, მშვიდობა და უშიშროება იყო.

ევროპული ინტეგრაციის იდეა პირველად დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, უინსტონ ჩერჩილმა წამოაყენა. მან 1946 წლის 19 სექტემბერს ციურიხში, სიტყვით გამოსვლისას, ევროპის შეერთებული შტატების შექმნის აუცილებლობაზე ისაუბრა. აღნიშნულ იდეას, მაშინ განვითარება არ მოჰყოლია, თუმცა ევროპული სახელმწიფოები თანამშრომლობის გაღრმავებასა და ერთიან სივრცეში გაერთიანებაზე დააფიქრა.

იურიდიული თვალსაზრისით, ევროკავშირის შექმნას საფუძვლად უდევს რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელშეკრულება, რომელთა მიზანი იყო ომის შემდგომ ევროპაში მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვა წევრ ქვეყნებს შორის.

ევროპული ინტეგრაციის საწყისად შეიძლება ჩაითვალოს 1950 წელი, როდესაც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რობერტ შუმანმა გამოაქვეყნა ე.წ. „შუმანის გეგმა“, რომელიც ეფუძნებოდა ფრანგი პოლიტიკოსის, ჟან მონეს ინიციატივას - გაერთიანებულიყო დასავლეთ ევროპის ნახშირის და ფოლადის საბადოები. შედეგად,

1951 წელს შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება (European Coal and Steel Community), რომელშიც შევიდა ექვსი სახელმწიფო - ბელგია, დასავლეთ გერმანია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, იტალია და ნიდერლანდები. გადაწყდა, რომ შექმნილიყო დამოუკიდებელი, ზეეროვნული ორგანო, ე.წ. „უმაღლესი ხელისუფლება“ (High Authority), რომელიც განაგებდა ამ ქვეყნებში ნახშირისა და ფოლადის წარმოებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

უმაღლესი ხელისუფლების პირველ პრეზიდენტად დაინიშნა ჟან მონე. 1953 წელს შეიქმნა რკინის, ნახშირის, მადნეულის და ჯართის საერთო ბაზარი; იმავე წელს, ცოტა მოგვიანებით, შეიქმნა ფოლადის საერთო ბაზარიც.

ორი წლის შემდეგ, იტალიის ქალაქ მესინაში ექვსი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები შეთანხმდნენ, რომ გაეგრძელებინათ ინტეგრაციის პროცესი. ეს შეთანხმება დღემდე ცნობილია მესინის ინიციატივის სახელით. შეიქმნა სამთავრობათაშორისო კომიტეტი, რომელმაც მოამზადა საფუძველი რომის ხელშეკრულებისათვის, რაც შემდგომში საფუძვლად დაედო „ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას“. რომის ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იყო შეთანხმება საერთო ბაზრის შექმნის თაობაზე, რასაც მომავალში საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება უნდა მოჰყოლოდა. საერთო ბაზარი ითვალისწინებდა ევროგაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის ბარიერების გაუქმებას საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და ადამიანების გადაადგილების კუთხით. რომის ხელშეკრულებამ, აგრეთვე, საფუძველი ჩაუყარა საერთო სოფლის მეურნეობისა და საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

რომში, ცალკე ხელშეკრულებით დაარსდა ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანება, ე.წ. „ევრატომი“, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ევროპაში ატომური ენერჯის საერთო ბაზრის შექმნა, კერძოდ: ატომური ენერჯის ინდუსტრიის განვითარება, ენერჯის გადანაწილება გაერთიანების წევრ სახელმწიფოებზე და დარჩენილი რესურსის მიყიდვა არაწევრი ქვეყნებისთვის.

1967 წელს, ბრიუსელის ხელშეკრულებით, მოხდა ზემოხსენებული სამი ორგანიზაციის: ევროპის ნახშირისა და ფოლადის გაერთიანების, ევროპის ეკონომიკური გაერთიანებისა (შემდგომში, ევროგაერთიანება) და „ევრატომის“

აღმასრულებელი ორგანოების - კომისიისა (შემდგომში, ევროპული კომისიის) და საბჭოს გაერთიანება ერთ ინსტიტუციურ სისტემაში, რომელსაც „ევროპული გაერთიანებები“ ეწოდა.

1960-1974 წლები დასავლეთ ევროპაში ეკონომიკური აღმავლობის პერიოდი იყო. ამ ხნის განმავლობაში მომხმარებლების მსყიდველობითი უნარი თითქმის ორჯერ გაიზარდა. ევროპის ეკონომიკურმა გაერთიანებებმა ამ ხნის მანძილზე რამდენიმე სახის რეფორმა განახორციელა. დაიწყო საერთო აგრარული პოლიტიკის განვითარება და სხვა ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესები. ასეთმა წარმატებამ, თავის მხრივ, დიდი ბრიტანეთიც დააინტერესა, რომელსაც სურვილი გაუჩნდა შეერთებოდა ეკონომიკურ გაერთიანებებს. გაერთიანებაში შესვლაზე პირველი განაცხადი პრემიერ-მინისტრმა მაკმილანმა 1961 წელს, ხოლო მეორე განაცხადი, პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ უილსონმა 1967 წელს შეიტანა, თუმცა ორივე შემთხვევაში ბრიტანეთის ევროპულ გაერთიანებებში მიღებას საფრანგეთის პრეზიდენტმა შარლ დე გოლმა ვეტო დაადო. ამასთან, საფრანგეთის პრეზიდენტმა მოხაზა ძირითადი კრიტერიუმები, რომლებიც ბრიტანეთს უნდა შეესრულებინა კავშირში შესვლისათვის. ამ კრიტერიუმებში შედიოდა ამერიკის შეერთებულ შტატებთან განსაკუთრებულ ურთიერთობებზე უარის თქმა, ფუნტი სტერლინგის არეალის დატოვება და დემონსტრირება იმისა, რომ ბრიტანეთი მართლაც „კეთილსინდისიერი ევროპელი“ იყო. ბუნებრივია, რომ ეს მოთხოვნები ბრიტანეთმა არ შეასრულა.

მიუხედავად ამ ისტორიული სიძნელეებისა, 1973 წელს დიდი ბრიტანეთი ევროპულ გაერთიანებებს ოფიციალურად შეუერთდა.

ევროპის ეკონომიკური გაერთიანებების წარმატება ძირითადად წევრ-სახელმწიფოებს შორის მუდმივ კომპრომისებს ეფუძნებოდა. შესაბამისად, 60-იანი წლების დასაწყისში მომწიფდა ხმების უმრავლესობით გადაწყვეტილებების მიღებაზე გადასვლის აუცილებლობა. დე გოლისათვის ეს საფრანგეთზე სხვა ქვეყნების ინტერესების თავზე მოხვევისა და სუვერენიტეტის შელახვის ტოლფასი იყო. ამიტომ მან შეიმუშავა ე.წ. „ცარიელი სკამის“ პოლიტიკა, რის შედეგად 1965 წლის ყველა შეხვედრაზე საფრანგეთის სკამი ცარიელი იყო. შესაბამისად, შეუძლებელი გახდა მთელი რიგი საკითხების განხილვა და მიღება, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა

ინტეგრაციის პროცესი. ეს კრიზისი საბოლოოდ გადაწყდა 1966 წელს, როდესაც მიღწეული იქნა ე.წ. ლუქსემბურგის კომპრომისი, რომლის შედეგად ევროპული გაერთიანებების წევრ სახელმწიფოებს უფლება მიენიჭათ ვეტო დაედოთ ისეთი საკითხებისათვის, რომლებიც უშუალოდ მათ ეროვნულ ინტერესებს ლახავდა.

1992 წელს, მასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე ევროპულ გაერთიანებებს "ევროკავშირი" ეწოდა.

ევროკავშირი დღეისათვის 28 დემოკრატიული სახელმწიფოს უნიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანებაა, რომელიც მიზნად ისახავს მშვიდობის, კეთილდღეობისა და თავისუფლების უზრუნველყოფას თავისი 500 მილიონზე მეტი მოქალაქისთვის.

2016 წელს დიდ ბრიტანეთში ჩატარდა რეფერენდუმი, ხალხმა მხარი დაუჭირა ბრიტანეთის გასვლას ევროკავშირიდან.

1.2 ევროპული სამეზობლო პოლიტიკა

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა (ENP) ევროკავშირის სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობის ძირითად მექანიზმს წარმოადგენს. ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომლობა ემყარება ისეთ საერთო ფასეულობებს, როგორცაა დემოკრატია და ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, კარგი მმართველობა, საბაზრო ეკონომიკა და მდგრადი განვითარება. პოლიტიკა მიზნად ისახავს ევროკავშირის მეზობელი ქვეყნების სტაბილურობის, განვითარებისა და უსაფრთხოების ხელშეწყობას. ENP-ის საშუალებით, ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებს სთავაზობს უფრო ღრმა პოლიტიკურ ურთიერთობასა და ეკონომიკურ ინტეგრაციას.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა 2004 წელს, ევროკავშირში ახალი წევრი სახელმწიფოების მიღების შემდგომ მეზობელ სახელმწიფოებთან გამყოფი ხაზების თავიდან აცილებისა და აღნიშნულ სივრცეში სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის მხარდაჭერის მიზნით შემუშავდა.

ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში 16 ქვეყანა (ალჟირი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, ეგვიპტე, იორდანია, ისრაელი, ლიბანი, ლიბია, მოლდოვა, მაროკო, პალესტინა, საქართველო, სირია, სომხეთი, ტუნისი, უკრაინა) ჩართული. აქედან, 12 ქვეყანა სამეზობლო პოლიტიკაში სრულად მონაწილეობს. ხოლო 4 ქვეყნის (ალჟირი, ბელორუსი, ლიბია, სირია) მონაწილეობა ვრცელდება სამეზობლო პოლიტიკის ცალკეულ მექანიზმებზე.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ორმხრივი მფლობელობის პრინციპს ეფუძნება, რაც ევროკავშირისა და სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ცალკეული სუბიექტის მხრიდან გარკვეულ ქმედებებს გულისხმობს. პოლიტიკის მიზნების განხორციელებას ხელს უწყობს ევროპული საგარეო ქმედების სამსახური, რომელიც ეხმარება ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების უმაღლეს წარმომადგენელს, ვინც უშუალოდ ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების საკითხებს კურირებს.

ევროკომისიის მიერ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება მის მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობით მომზადებული, ქვეყნის ან რეგიონის მიმართ შემუშავებული სტრატეგიული სამოქმედო გეგმების საფუძველზე ხორციელდება. აღნიშნულ სამოქმედო გეგმებში ევროკომისია განსაზღვრავს იმ პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარამეტრებს, რომლის საფუძველზეც მიმდინარეობს მოცემული ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესის შეფასება.

სამოქმედო გეგმა სამეზობლო ინიციატივის ყველა ქვეყანასთან ურთიერთობაში საერთო პრინციპებს ეყრდნობა, თუმცა მისი შინაარსი განსხვავდება მოცემულ ქვეყანასთან თანამშრომლობის არსებული დონის, ქვეყნის საჭიროებებისა და საერთო ინტერესების შესაბამისად.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა ეფუძნება რიგი ღონისძიებების განხორციელებასა და მჭიდრო თანამშრომლობას შემდეგი მიმართულებებით:

1. ფინანსური დახმარება - ევროპული სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ცალკეული ქვეყნებში შესაბამისი პროექტების დასაფინანსებლად 2007-2013 წლებში გამოიყო 12 მილიარდი ევრო;
2. ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის ბაზარზე დაშვება;

3. ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის გამარტივება;

4. სამეზობლო პოლიტიკის მონაწილე ქვეყნების ტექნიკური და საჯარო პოლიტიკის ცალკეულ სფეროებში რეფორმების მხარდაჭერა.

ევროპული სამეზობლო პოლიტიკა მრავალმხრივი თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმატებში ხორციელდება.

აღმოსავლეთ პარტნიორობა (Eastern Partnership - EaP) არის ინიციატივა, რომელიც ქმნის ჩარჩოს ევროკავშირის ურთიერთობებისთვის სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ბელორუსთან, საქართველოსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან.

ევროკავშირის თანამშრომლობა აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებთან სხვადასხვა ფორმით ხორციელდება და იგი მოიცავს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მრავალ პროექტსა და პროგრამას, ე.წ. ასოცირების პროცესს (ცალკე ოფიციალური ხელშეკრულებები ევროკავშირსა და აღმოსავლეთი პარტნიორობის თითოეულ ქვეყანას შორის) და მოლაპარაკებებს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისა და თავისუფალი სავაჭრო ზონების საკითხებზე.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ წინადადება, თავდაპირველად შვედეთისა და პოლონეთის მიერ იყო შემუშავებული. 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განხორციელებულმა რუსეთის სამხედრო ინტერვენციამ გამოიწვია აღნიშნული პროცესის დაჩქარება და გარკვეულწილად განაპირობა კიდევ ამ ინიციატივისადმი ევროკავშირის დადებითი გამოხმაურება. შესაბამისად, 2008 წლის დეკემბერში, ევროკომისიას დაევალა ამ ინიციატივასთან დაკავშირებული წინადადებების წარდგენა.

ევროკომისიამ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ კომუნიკაცია 2008 წლის 3 დეკემბერს გამოაქვეყნა, რომელიც 2009 წლის 19 მარტს ევროპული საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა.

„აღმოსავლეთ პარტნიორობა“ არ არის ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის ალტერნატივა. თუმცა, იგი ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გზით, ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას,

საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებასა და ეკონომიკურ განვითარებას.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამიტი ორ წელიწადში ერთხელ იმართება, რომლის ძირითად მიზანს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება წარმოადგენს.

ევროკომისიის მიერ შემუშავებული „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის მთავრი მიზანია, ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) განხორციელების ხელშეწყობა, თუმცა მოცემული ინიციატივა უფრო შორს მიდის და პარტნიორ ქვეყნებს, ევროკავშირთან უფრო მეტად დაახლოების მიზნით, კონკრეტულ პერსპექტივებს სთავაზობს.

ორმხრივი თანამშრომლობის საბოლოო მიზანია, ფართო პოლიტიკური და სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა და პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირთან თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავება. ორმხრივი თანამშრომლობა, ევროკავშირსა და თითოეულ პარტნიორ ქვეყანას შორის, თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას ითვალისწინებს, რაც მოიცავს:

1. ახალი, უფრო ფართო ურთიერთობების ჩამოყალიბებას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებასთან (PCA) შედარებით გაღრმავებული შეთანხმებების - ასოცირების შესახებ შეთანხმებების (Association Agreements) გაფორმების გზით, რომლებიც თითოეული პარტნიორი ქვეყნის ევროკავშირთან შემდგომი დაახლოებისკენ სწრაფვას პასუხობს. ეს შეთანხმებები გაფორმდება იმ ქვეყნებთან, რომლებიც მზად არიან საკუთარ თავზე აიღონ შესაბამისი დონის ვალდებულებები;

2. ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის თავისუფალი სავაჭრო ზონების შექმნას, რომლებიც დაეფუძნება თითოეულ ქვეყანასთან გაფორმებულ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმებებს (Deep and Comprehensive Free Trade Areas), როგორც ასოცირების შესახებ შეთანხმების განუყოფელ ნაწილს;

3. უსაფრთხო გარემოში მოქალაქეთა მობილურობის ხელშეწყობას. ამ მიზნით, ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებს სავიზო რეჟიმის გამარტივების შესახებ

ხელშეკრულებების (Visa Facilitation and Readmission Agreements) გაფორმების შესაძლებლობებს სთავაზობს. თანმიმდევრული ნაბიჯები იქნება გადადგმული უვიზო მიმოსვლის რეჟიმის დამყარებისაკენ;

4. ენერგო უსაფრთხოების გაძლიერებას, რაც ითვალისწინებს ენერგორესურსების მიწოდებასა და ტრანზიტს, ისევე როგორც, ენერგორესურსების ეფექტიანობის ამაღლებასა და ენერჯის განახლებადი წყაროების ფართო გამოყენებას.

5. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ კომუნიკაცია ხაზს უსვამს ერთობლივი მფლობელობის პრინციპზე თანამშრომლობის დაფუძნების მნიშვნელობას, რაც ყველა მონაწილე მხარეზე, პასუხისმგებლობის გადანაწილებას (Joint Ownership) უწყობს ხელს.

მრავალმხრივი თანამშრომლობის მიზანი კი ახალ ფორმატს უზრუნველყოფს, რომელიც საერთო ინტერესთა სფეროში თანამშრომლობისა და გამოწვევებთან ერთობლივი გამკლავების შესაძლებლობას იძლევა. ასეთი ფორმატი, უსაფრთხოების, მიგრაციის, ვაჭრობისა, ისევე როგორც ტრანსპორტის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და სხვა სფეროებში, ერთობლივი პროექტების განხორციელების გზით, რეგიონში თანამშრომლობის პროცესების განვითარებას ისახავს მიზნად.

DCFTA - ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ 2015 წლის აპრილში გაფორმდა სამ პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან - საქართველო, უკრაინა, მოლდოვა. ეს არის სამწლიანი პროექტი, რომელიც ამ ქვეყნებში გარკვეულ რეფორმებს ითვალისწინებს.

ხელშეკრულება ხელს უწყობს სამი სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმის დღის წესრიგის ჩამოყალიბებას.

ევროპის ენერგეტიკული თანამეგობრობა არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ენერგეტიკული პოლიტიკის საკითხებზე მუშაობს. ორგანიზაცია საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად 2005 წლის ოქტომბერში საბერძნეთში დაარსდა. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 2006 წლის ივლისში.

ენერგეტიკული თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ ევროკავშირი და კონტრაქტის ხელმომწერი რვა ქვეყანა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპიდან და შავი ზღვის რეგიონიდან.

2016 წლის 14 ოქტომბერს, ევროპის ენერგეტიკულ თანამეგობრობაში საქართველოს გაწევრიანებაზე მინისტრთა საბჭომ თანხმობა განაცხადა. ბოსნია და ჰერცეგოვინას დედაქალაქ სარაევოში ევროპის ენერგეტიკული თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მონაწილეობით მიმდინარე მინისტერიალზე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმს" ხელი მოაწერა. ახლა საჭიროა პარლამენტისგან რატიფიკაცია, რის შემდეგაც საქართველო ენერგეტიკული თანამეგობრობის სრულუფლებიანი წევრი გახდება.

ევროპის ენერგეტიკულ თანამეგობრობაში გაწევრიანება და შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს გადმოტანა და განხორციელება საქართველოში ხელს შეუწყობს და დააჩქარებს შემდეგ პროცესებს:

- თანამედროვე და კონკურენტუნარიანი ენერგეტიკის სექტორის ჩამოყალიბებას, მის ფინანსურ მდგრადობასა და მომხმარებელთა გაზრდილ უფლებებს (ძლიერი, დამოუკიდებელი მარეგულირებელი, გამჭვირვალე და ხარჯზე დაფუძნებული ტარიფი, განცალკევება და ქსელზე ხელმისაწვდომობა), გამჭვირვალობის ზრდასა და კორუფციის შემცირებას სექტორში.
- გარე და შიდა ფაქტორების მიმართ ენერგეტიკული სისტემის მდგრადობას.
- ევროკავშირის გარემოს დაცვის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციასა და იმპლემენტაციას;
- მდგრადი, დაბალემისიანი მწვანე ენერგეტიკული სისტემის ჩამოყალიბებას, რაც ხელს შეუწყობს მიწოდების უსაფრთხოებას - განახლებადი ენერჯის გამომუშავებისა და ენერგოეფექტურობით ენერჯის მოხმარების შემცირებას. ამასთანავე, ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების შემოდინებას ევროპელი და სხვა ინვესტორებისგან, მათ შორის ევროპის საინვესტიციო ბანკიდან.

თავი 2.

ევროკავშირი და სამხრეთ კავკასიის ქვეყნები

2.1. სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა

სამხრეთ კავკასიის რეგიონი თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის წყალობით უმნიშვნელოვანეს რეგიონს წარმოადგენს. იგი საკმაოდ ბევრი განსხვავებული ქვეყნის ინტერესების თანხვედრის ადგილია. აქ გადაიკვეთება არა მარტო შავი და კასპიის ზღვების აუზის ქვეყნების, არამედ ევროპის, აზიისა და თვით აფრიკის ქვეყნების სტრატეგიული და ეკონომიკური შეხედულებებიც. ზოგადად კავკასიაში არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს არამარტო მოცემული რეგიონის ქვეყნებზე, არამედ მსოფლიო ტრანს-რეგიონალურ პროცესებზეც, მათ შორის ევროატლანტიკურ სივრცეში არსებულ მდგომარეობაზე, მათ შორის ევროატლანტიკურ სივრცეში არსებულ მდგომარეობაზე. ამის ნათელი მაგალითია ნატოს გეო-ეკონომიკური ინტერესები რეგიონში. ორგანიზაციის მიერ განხორციელებული სხვადასხვა ღონისძიებებიც ცხადყოფს, რომ კავკასია შეიძლება ნატოს “მოწინავე თავდაცვის” სტრატეგიის ტერიტორიადაც განვიხილოთ.

პოლიტიკური სიტუაცია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მუდმივად დამაბუღია, ამ დამაბუღობას ხელს უწყობს სამი ფაქტორი: გლობალური - გარე ძალების უდიდესი ინტერესი რეგიონის მიმართ, შიდა რეგიონალურ-ტერიტორიული პრეტენზიები, სამი გაყინული კონფლიქტი და შიდაპოლიტიკური განვითარების უარყოფითი დინამიკა. სამხრეთ კავკასიის რეგიონის სამომავლო განვითარების ნებისმიერი გზა უშუალოდ უკავშირდება არსებული ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირების საკითხს, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი. მიუხედავად საერთაშორისო ორგანოების მცდელობისა, ქვეყნებისთვის კონფლიქტის მოგვარების ყველა შეთავაზება უშედეგოდ დასრულდა და მხარეთა პოზიციების შეთანხმება ვერ მოხერხდა. სიტუაციის ასეთ დამაბუღობას განაპირობებს ის, რომ სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობები კომპრომისზე ვერ თანხმდებიან. აუცილებელია კონსენსუსის მიღწევა, მითუმეტეს, რომ დღეს დასავლეთი აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში ნომინალურ როლს თამაშობს და ცდილობს ფორმალური და

მეტად მოკრძალებული მოლაპარაკებების გამართვით შემოიფარგლოს. გარდა ყარაბაღის პრობლემისა, რეგიონის წინაშე დგას ისეთი გამოწვევებიც, როგორცაა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში არსებულ სიტუაცია. საქართველოს სტრატეგია ამ ეტაპზე იქითკენაა მიმართული, რომ კონფლიქტის ზონებში როგორმე შეავიწროვოს რუსეთის გავლენა და აღნიშნულ ტერიტორიებზე მეგობარი სახელმწიფოების და საერთაშორისო ორგანიზაციების გავლენა გაავრცელოს. ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა თავად სამხრეთ კავკასიის სამ რესპუბლიკაზე მოდის, ვინაიდან სწორედ ამ სახელმწიფოებმა იწვნიეს თავიანთ თავზე დიდი პოლიტიკური თამაშების კატასტროფული შედეგები; შესაბამისად, მათ უნდა გააცნობიერონ პასუხისმგებლობა საკუთარი ხალხის წინაშე და მიდგომები ისე შეცვალონ, რომ პრობლემის მოგვარების ყველაზე ოპტიმალური და ყველა მხარისათვის მეტ-ნაკლებად მისაღები გადაწყვეტა გამოინახოს. ეს მით უფრო საშური საქმე ხდება იმ სიტუაციის გათვალისწინებით, რომ მათი შიდა დაპირისპირება მთელ რეგიონზე ახდენს უარყოფით დამოკიდებულებას და რეგიონის იმ გარე პოლიტიკურ ინტერესებზე ასხამს წყალს, რომელიც მიუღებელია სამხრეთ კავკასიის სამივე სახელმწიფოსთვის. ამ კონტექსტში ყარაბაღის კონფლიქტი სწორედ ის კვანძია, რომლის გახსნა, მონდომების შემთხვევაში, შიდა ძალებით, ყოველგვარი მესამეს ჩართვის გარეშეა შესაძლებელი, ვინაიდან ეს ის კონფლიქტია, რომლის მონაწილე მხარეები სამხრეთ კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებია. ბუნებრივია, რომ ამ კონფლიქტში გარეშე ძალების ინტერესებიც მონაწილეობს, მაგრამ აზერბაიჯანისა და სომხეთის კეთილი ნების არსებობისა და გამოვლინების შემთხვევაში, მესამე ძალა ღია დაპირისპირებაზე ვერ წავა. მესამე ძალის ჩარევის გარეშე კონფლიქტის მოგვარების პრეცედენტი უმნიშვნელოვანესი იქნება არა მხოლოდ რეგიონის პოლიტიკური პროცესების შემდგომი განვითარებისათვის, მაგრამ თუკი მხარეები მომავალშიც ვერ გააცნობიერებენ ამ ჭეშმარიტებას და კვლავ მესამე მხარის ჩარევით სიტუაციის დარეგულირების იმედზე დარჩებიან მაშინ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში დარჩება საკითხი გადაუჭრელ პრობლემად. განსხვავებული მიდგომარეობაა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებში - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, სადაც პრობლემის მოგვარება საქართველოს შიდა რესურსებით შეუძლებელია,

ვინაიდან საქმეში თავისი საოკუპაციო მექანიზმით ჩარეულია ისეთი უზარმაზარი და უძლიერესი სახელმწიფო, როგორცაა რუსეთი.

ევროკავშირი ძალზე დაინტერესებულია სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობითა და ამ რეგიონის განვითარებით. ევროპული საბჭოს მიერ 2003 წლის დეკემბერში მიღებული ევროპული უშიშროების სტრატეგია მკაფიოდ ასახელებს სამხრეთ კავკასიას ერთ-ერთ იმ რეგიონად, რომელთან დაკავშირებითაც ევროკავშირმა „უფრო ძლიერი და აქტიური ინტერესი“ უნდა გამოავლინოს.

ევროკავშირის სურვილია, დაინახოს, რომ ამ ქვეყნებში არსებობს გაძლიერებული, საიმედო და სტაბილური ვალდებულება დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემისადმი, არსებობს, აგრეთვე, წარმატება საბაზრო ეკონომიკის განვითარების საქმეში.

სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის პოლიტიკის და რეგიონში მისი როლის შეფასებისას ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს აქვს ხშირად ადგილი. ევროკავშირის მმართველ წრეებში სამხრეთ კავკასიის რეგიონს განსხვავებულად ხედავენ. ერთნი რეგიონში ევროკავშირის ღირებულებების (დემოკრატია, საბაზრო ეკონომიკა, სოციალური კეთილდღეობა) დაცვაზე აკეთებენ აქცენტს. მეორენი გაფართოებასა და ახალ ენერგო მოთხოვნილებებს ეკიდებიან მეტი ყურადღებით. ზოგი რუსეთის გავლენას რეგიონში საფრთხედ მიიჩნევს, ზოგი კი - პოზიტიურ ფაქტორად. რეგიონში სტაბილურობის მისაღწევად. ზოგიერთი ევროკავშირის როლს რეგიონში ტექნიკურ და ჰუმანიტარულ დახმარებაზე დამყარებულ პირველ საერთაშორისო დონორობაში მოიაზრებს, ზოგი კი - პოლიტიკურ და ეკონომიკურ გავლენაში. ამის შედეგი გახლავთ ერთობლივი სტრატეგიის არ არსებობა, რასაც თან ახლავს ევროკავშირისა და სხვადასხვა წევრ ქვეყანათა ინტერესების შეუთანხმებლობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სამხედრო ინტერესებია ჩარეული.

რეგიონის განსხვავებული ხედვაა ევროკავშირის სხვადასხვა ინსტიტუტებშიც. განსხვავდება თვით ევროკავშირის ინსტიტუტებში მომუშავე თანამდებობის პირთა მოსაზრებაც რეგიონში ევროკავშირის როლთან დაკავშირებით, თუმცა ევროკავშირის მხრიდან სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ჩართვა სხვადასხვა პროგრამებში და სამხრეთ

კავკასიის ქვეყნებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ცხადყოფს, რომ ევროკავშირისთვის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს დემოკრატიული ღირებულებები და თანამშრომლობის ხარისხი, საერთო ფასეულობებისადმი პარტნიორი სახელმწიფოების ერთგულებაზეა დამოკიდებული.

2.2. საქართველო

საქართველოს სახელმწიფოებრიობას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს და ამ მხრივ, ის ევროპის ბევრი ქვეყნისაგან გამოირჩევა. თუმცა, არსებობს ამ ხანგრძლივ გზაზე საქართველოს მუდმივ რეჟიმში უხდებოდა მტერთან ბრძოლა. ამ რთულ პროცესებში კი, საქართველო, რომელიც მარტო იყო მოკავშირისა და ძლიერი დასაყრდენის გარეშე, აქტიურად ეძებდა მოკავშირეებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ასეთ მოკავშირედ კი, მას ხშირად ევროპა ესახებოდა. ევროპისკენ სწრაფვა არამარტო ხელისუფალთა, არამედ მთლიანად მთელი ერის სულისკვეთება იყო.

2017 წლის 8 მარტს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნდა ევროკავშირის საბჭოს N539/2001 რეგულაციის ცვლილება, რომლის თანახმად, საქართველომ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მქონე ქვეყნების სიაში გადაინაცვლა. შესაბამისად, 2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ფლობდნენ ბიომეტრიულ პასპორტს, უკვე შეეძლოთ ვიზის გარეშე ევროკავშირის (შენგენის წევრ) ქვეყნებში გამგზავრება.

თავად საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებს არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს ურთიერთობები საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაიწყო. დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდანვე ევროკავშირი მხარს უჭერდა ამ ქვეყანაში თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის, სიტყვის თავისუფლების, ღია საზოგადოების და მრავალპარტიული დემოკრატიის განვითარებას.

1992 წელს, ევროგაერთიანებამ ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა.

1995 წლიდან, საქართველო, ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (Generalized Scheme of Preferences, (GSP)) სარგებლობს.

1996 წლის 22 აპრილს, ლუქსემბურგში, ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირის შორის პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებას (PCA). აღნიშნული შეთანხმებით, საქართველოსა და ევროკავშირის შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარების სამართლებრივი ჩარჩო განისაზღვრა. ხელშეკრულებას ხელი, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა მოაწერეს. ხელშეკრულება ძალაში 1999 წელს შევიდა.

1997 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს პარლამენტის დადგენილების საფუძველზე, საქართველომ დაიწყო საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

2003 წლის 7 ივლისს, ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი სპეციალური წარმომადგენელი (EU Special Representative for the South Caucasus) დანიშნა.

2004 წლის 14 ივნისს, ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ, მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვის შესახებ.

2005 წელს, საქართველოს მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობის წახალისებისათვის მიენიჭა ევროკავშირის პრეფერენციების განახლებული გენერალიზებული სისტემის (GSP+ სავაჭრო რეჟიმი) შეღავათები.

2006 წლის 14 ნოემბერს, საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის დასრულდა საქართველო–ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმების პროცესი, რომელიც ურთიერთთანამშრომლობის სტრატეგიულ პრიორიტეტებს ადგენს.

2008 წელს, ევროკავშირმა (ამერიკელ პარტნიორებთან ერთად) მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსეთ-საქართველოს ომის შეჩერებაში. ევროკავშირის შუამავლობით, ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის ე.წ. ექვს პუნქტიან შეთანხმებას. 2008 წლის 1 სექტემბერს, საფრანგეთის რესპუბლიკის ინიციატივით მოწვეულ

ევროკავშირის საგანგებო სამიტზე, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებმა დაგმეს რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარება და სხვა ქვეყნებს მოუწოდეს აღნიშნულ გადაწყვეტილების მიღებისაგან თავის შეკავების შესახებ. ევროკავშირი დღემდე აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკას.

2008 წლის 15 სექტემბერს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) შექმნის თაობაზე, რომლის ძირითად ამოცანას ექვს პუნქტიანი შეთანხმების შესრულების პროცესზე დაკვირვება წარმოადგენს. ამ მანდატის განხორციელება 2008 წლის 1 ოქტომბერს დაიწყო.

2008 წლის 25 სექტემბერს, ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოში კრიზისის დამლევსთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობა შეიქმნა.

2008 წლის 15 ოქტომბერს, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში, მოლაპარაკების პირველი რაუნდი (ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები არის ნეიტრალური სტატუსის მქონე ფორმატი, სადაც მონაწილეები ინდივიდუალური სტატუსით არიან წარმოდგენილნი) გაიმართა. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებისა და ჟენევის მოლაპარაკებების სახელმძღვანელო დოკუმენტის შესაბამისად, მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ორი პარალელური სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. პირველი სამუშაო ჯგუფი უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს განიხილავდა, ხოლო მეორე სამუშაო ჯგუფის ძირითად განსახილველ თემას დევნილებთან და იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული საკითხები წარმოადგენდა. მოლაპარაკებებს თანა-თავმჯდომარეობდნენ ევროკავშირის, გაერო-სა და ეუთო-ს წარმომადგენლები და ესწრებოდნენ მონაწილეები საქართველოდან, რუსეთის ფედერაციიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

2008 წლის 22 ოქტომბერს (ომის შედეგებთან გასამკლავებლად საქართველოს დახმარების მიზნით), ქ. ბრიუსელში, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით გაიმართა დონორთა კონფერენცია, რომელზეც საქართველოსთვის

პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილმა დახმარებამ 2008-2010 წლებისთვის, 4.5 მილიარდი დოლარი შეადგინა

2008 წელს, ევროკავშირმა საქართველოს პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემის მოქმედება სამი წლის ვადით (2009-2011 წ.წ.) ეფექტური მმართველობისა და მდგრადი განვითარების მიზნებისთვის (GSP+) გაუხანგრძლივა

2008 წლის 3 დეკემბერს, გამოქვეყნდა ევროკომისიის კომუნიკე "აღმოსავლეთ პარტნიორობის" შესახებ. "აღმოსავლეთ პარტნიორობა" (Eastern Partnership) ევროკავშირის აღმოსავლეთით მდებარე მეზობელ ქვეყნებთან (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი) ურთიერთ თანამშრომლობისთვის მიზნობრივად ახალ მექანიზმს წარმოადგენდა.

2009 წლის 7 მაისს, ქ. პრაღაში, "აღმოსავლეთ პარტნიორობის" პირველი სამიტი გაიმართა.

2009 წლის 30 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა "პარტნიორობა მობილურობისათვის" ერთობლივ დეკლარაციას. „პარტნიორობა მობილურობისათვის“ მიზნად ისახავდა არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლას და ლეგალური მიგრაციის მოწესრიგებას (მათ შორის "ცირკულარული მიგრაციის" შესაძლებლობების გამოყენებით).

2010 წლის 10 მაისს, ბრიუსელში, ზოგად საკითხთა საბჭომ (General Affairs Council) დაამტკიცა, ევროკომისიის მიერ წარდგენილი მანდატი ასოცირების შეთანხმების თაობაზე საქართველოსთან მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით.

2010 წლის 17 ივნისს, ხელი მოეწერა „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ“ შეთანხმებას, ხოლო 2010 წლის 22 ნოემბერს, „ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ შეთანხმებას. აღნიშნული შეთანხმებები 2011 წლის 1 მარტს შევიდა ძალაში.

2010 წლის 15 ივლისს, დაიწყო ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები რომელიც მოიცავს შეთანხმებას "ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ" (DCFTA).

2010 წლის 2 დეკემბერს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა „საქართველოსა და ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საავიაციო სივრცის" შესახებ შეთანხმებას.

2011 წლის 3 მაისს, ქ. ბრიუსელში გამართულ საგანგებო სხდომაზე, „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ფარგლებში, ოფიციალურად დაფუძნდა თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა „ევრონესტი".

2011 წლის 14 ივლისს, ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის „სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული დასახელების ურთიერთდაცვისა და აღიარების შესახებ" ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში 2012 წლის 1 აპრილიდან შევიდა.

2011 წლის 25 აგვისტოს, ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით, გაერთიანდა სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის დამლევსთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლების თანამდებობები და მათ ნაცვლად სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობა შეიქმნა.

2011 წლის 29-30 სექტემბერს, ქ. ვარშავაში გაიმართა "აღმოსავლეთ პარტნიორობის" მეორე სამიტი.

2012 წლის 28 თებერვალს, ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები, საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების"(DCFTA) დადების თაობაზე.

2012 წლის 4 ივნისს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლის შესახებ დიალოგი გაიხსნა.

2013 წლის 22 ნოემბერს, ევროკომისიამ და ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა აღიარეს საქართველოს მეზღვაურების ტრენინგებისა და კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატები (შედეგად, ქართველ მეზღვაურებს, ევროკავშირის ქვეყნების დროშის ქვეშ მცურავ გემებზე დასაქმების უფლება მიეცათ).

2013 წლის 28-29 ნოემბერს, ქ. ვილნიუსში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგით მესამე სამიტი გაიმართა, რომლის ფარგლებში, ასოცირების შეთანხმებისა და მისი კომპონენტის, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პარაფირება მოხდა და, ასევე, საქართველოს ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში ჩართვის შესახებ შეთანხმება გაფორმდა.

2014 წლის 26 ივნისს, ევროკავშირმა და საქართველომ დაამტკიცეს ასოცირების დღის წესრიგი, რომელიც ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან გამომდინარე 2014-2016 წლებში რეფორმების პრიორიტეტულ მიმართულებებს განსაზღვრავს. ასოცირების დღის წესრიგმა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP AP) ჩაანაცვლა.

2014 წლის 27 ივნისს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა „ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმებას.

2014 წლის 18 ივლისს საქართველოს პარლამენტმა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირებას მხარი ერთხმად დაუჭირა.

2014 წლის 29 ივლისს, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის (29-ე) სხდომაზე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა და, ასევე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტის განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა დამტკიცდა.

2014 წლის 26 აგვისტოს, საქართველოს მთავრობამ ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა დაამტკიცა.

2014 წლის 1 სექტემბერიდან, ასოცირების შესახებ შეთანხმების დადგენილი ვალდებულებების დაახლოებით 80% (ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი

ვაჭრობის სივრცის (DCFTA) კომპონენტის ჩათვლით) ამოქმედდა დროებით რეჟიმში. ასოცირების შესახებ შეთანხმება ძალაში შევიდა, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნული საკანონმდებლო ორგანოების მიერ რატიფიცირების შემდეგ.

2014 წლის 19 დეკემბერს, საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის (51-ე) სხდომამ მოიწონა „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2015 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა“. სამოქმედო გეგმა საქართველოს მთავრობის 26 იანვრის №59 განკარგულებით დამტკიცდა.

2015 წლის 22 მაისს, ქ. რიგაში „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგით მეოთხე სამიტი გაიმართა. სამიტზე განიხილეს ვილნიუსის სამიტის შემდეგ პარტნიორი ქვეყნების მიერ მიღწეული პროგრესი ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების მიმართულებით და ურთიერთ თანამშრომლობის სამომავლო გეგმები დაისახა.

2015 წლის 18 დეკემბერს, ევროკომისიამ საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) იმპლემენტაციის შესახებ რიგით მეოთხე, საბოლოო ანგარიში გამოაქვეყნა. ევროკომისიის შეფასებით, საქართველომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზის ოთხივე ბლოკით განსაზღვრული ყველა მოთხოვნა შეასრულა და ვიზალიბერალიზაციის ტექნიკური პროცესი წარმატებით დაასრულა.

2015 წლის დეკემბერში, დასრულდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების პროცესი.

2016 წლის 1 ივლისს, საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება სრულად შევიდა ძალაში.

შეთანხმების ზოგად ნაწილში მხარეები თანხმდებიან პატივი სცენ დემოკრატიულ პრინციპებს, ადამიანის უფლებებს. ორივე მხარემ უნდა დაიცვას მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის პირობები. მათ ხელი უნდა შეუწყონ კანონის უზენაესობის დაცვას, კორუფციისა და საერთაშორისო ორგანიზებული

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას და იზრუნონ რეგიონში სტაბილურობის დასაცავად.

შეთანხმებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება. საქართველოს და ევროკავშირი ადასტურებენ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ვალდებულებას, ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვით.

მნიშვნელოვანია ასევე შიდა სახელმწიფოებრივი რეფორმაც, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას გავამყაროთ დემოკრატიული ინსტიტუტები და კანონის უზენაესობა.

საქართველო და ევროკავშირი თანხმდებიან, რომ მიიღებენ ყველა ზომას ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, რაღა დაუსჯელი არ დარჩეს საერთაშორისო მნიშვნელობის მძიმე დანაშაული.

ევროკავშირი საქართველოს დაეხმარება კონფლიქტების პრევენციისა და კრიზისების მართვაში. საქართველო და ევროკავშირი ადასტურებენ კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ვალდებულებას საქართველოს სუვერენიტეტის დაცვით. ევროკავშირი დახმარებას გვიწევს დევნილთა და ლტოლვილთა თავიანთ კუთვნილ მიწაზე დაბრუნებაში.

დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ ასოცირების შეთანხმება უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია საქართველოსა და ევროკავშირის შორის. ამ ხელშეკრულებით საფუძველი ეყრება ამ ორი მხარის ხანგრძლივ და მჭიდრო ურთიერთობებს, რომელსაც შეუძლია ხელი შეუწყოს ჩვენს ქვეყანას, ჩამოყალიბდეს ეკონომიკურად ძლიერ სახელმწიფოდ.

2.3. სომხეთი

1991 წელს სომხეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ჩამოყალიბდა ის ძირითადი ფაქტორი, რომელიც ევროპის მიმართ სომხეთის პოლიტიკას განსაზღვრავდა. ეს იყო სომხეთის მიერ ევროკავშირის გაფართოების ეტაპების გავლა და ევროპაში შედარებით ეკონომიკური განვითარება. სომხური პოლიტიკური ელიტის

წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ სომხეთის ახლო ურთიერთობა ევროკავშირთან სომხეთის დემოკრატიული და უსაფრთხო მომავლის გარანტი იყო.

1991 წლიდან, სომხეთი აქტიურად ჩაერთო ორმხრივ და მრავალმხრივ პროექტებში. ევროკავშირი მხარს უჭერდა სომხეთს ინსტიტუციონალური, სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეფორმების განხორციელებაში, აგრეთვე ახორციელებდა რეგიონალურ პროგრამებს.

1996 წელს ხელი მოეწერა „პარტნიორობის და თანამშრომლობის“ ხელშეკრულებას, რომელიც ძალაში 1999 წელს შევიდა და დღემდე რჩება ევროკავშირის და სომხეთის ურთიერთობის ფუნდამენტად.

2001 წლიდან სომხეთი ევროსაბჭოს წევრი გახდა.

2005 წლის 2 მარტს გამოქვეყნებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის მიხედვით სომხეთმა მიიღო მოწვევა შეექმნა ახალი ტიპის ურთიერთობა ევროკავშირთან და ევროკავშირმა, თავის მხრივ, მიიღო ვალდებულება სომხური კონფლიქტების პრევენციასა და გადაჭრაში. სომხეთსა და ევროკავშირს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ჩამოთვლილია რვა მთავარი პრიორიტეტი და მხოლოდ მეშვიდე ადგილზეა რეგიონალური თანამშრომლობა, კონფლიქტების პრევენცია და გადაჭრა.

სომხეთის შიდა განვითარება და თავისუფალი ბაზრის შექმნა წარმოადგენს ევროკავშირის მთავარ სამოქმედო გეგმას სომხეთთან მიმართებაში. გასათვალისწინებელია, რომ სომხეთი განთავსებულია გეოპოლიტიკურად რთულ რეგიონში, რომელიც წლების განმავლობაში წარმოადგენდა დამპყრობლებისა და უცხო ცივილიზაციების გზა-გასაყარს. ამის მიუხედავად, სომხური საზოგადოება, დიდ ხანია თავს ევროპული საზოგადოების ნაწილად მიიჩნევს.

სომხეთის ევროპული ინტეგრაციის პროცესი ძირითადად იმართება სომხური პოლიტიკური ელიტის მიერ და საფუძვლად უდევს მათი წარმოდგენა, რომ სომხეთი ევროკავშირისგან მიიღებს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სარგებელს. აღსანიშნავია, რომ ყველა პარტია, რომელიც მონაწილეობას იღებდა 2007 წლის საპარლამენტო არჩევნებში მხარს უჭერდა ქვეყნის ევროპულ მომავალს და ევროკავშირში ინტეგრაციას.

სომხეთის ადგილმდებარეობის და იდენტობის ერთ-ერთი ფაქტორი არის ის, რომ სომხეთი მიიჩნევა შავი ზღვის რეგიონში მდებარე ქვეყნად (მასთან ერთად აზერბაიჯანი, მოლდოვა, საბერძნეთი).

2008- 2009 წლებში, სომხეთი წარმოადგენდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის თავმჯდომარე ქვეყანას.

პირველი საგარეო ფაქტორი, რომელიც აჭიანურებს რეგიონალურ ინტეგრაციას არის მთიანი ყარაბაღის ხალხის ომი თვითგამორკვევისა და თავისუფლებისათვის და სომხეთის მხარდაჭერა ეთნიკურად სომხებისათვის, რომლებიც მთიან ყარაბაღში არიან დასახლებული. ეს გაჭიანურებული და გადაუჭრელი კონფლიქტი წარმოადგენს ყველაზე დიდ დაბრკოლებას სამხრეთ კავკასიაში მშვიდობის დამყარებისთვის. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შემდეგ, მხარეები ვერ ახერხებენ გადადგან საჭირო ნაბიჯები შესათანხმებლად. საერთაშორისო მედიატორების მცდელობების მიუხედავად, კონფლიქტი კიდევ გრძელდება.

ამ კონფლიქტმა, 20000 მეტი სიცოცხლე იმსხვერპლა და დღესაც გადაუწყვეტელი სიტუაციაა. ბოლო წლებში, არაერთხელ იქნა გაჟღერებული ინფორმაცია, რომ ევროკავშირს დაეწყო მოლაპარაკება დეფაქტო ხელისუფლებასთან, რათა დაწყებულიყო დემოკრატიზაციის პროცესი. მთიანი ყარაბაღი ერთადერთი ობიექტია, რომელშიც ევროკავშირს არ გაუტარებია არანაირი ეკონომიკური რეაბილიტაციის პროექტი. მეორე ხელისშემშლელი ფაქტორი სომხეთსა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის არქონაა.

1993 წელს, როდესაც სომხეთის ძალებმა დაიპყრეს ყარაბაღი თურქეთმა დახურა სახმელეთო საზღვარი. უარი განაცხადა სომხეთთან დიპლომატიური ურთიერთობაზე, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც მხარი დაუჭირა სომხეთის დამოუკიდებლობას 1991 წელს (Country Strategy paper, European Neighbourhood and Partnership Instrument. Armenia, 2007-13).

2013 წელს, სომხეთის პრეზიდენტმა - სერჟ სარქისიანმა მოულოდნელი განცხადება გააკეთა. რუსეთის პრეზიდენტ - ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ ერევანი უკან იხევს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების

კურსიდან და ამ მიზნისთვის წარმოებული მოლაპარაკებებიდან. სომხეთის გეზი შეიცვალა ევროკავშირიდან ევრაზიული კავშირისკენ. ექსპერტები ამას რუსეთის ზეწოლით ხსნიდნენ.

2.4. აზერბაიჯანი

აზერბაიჯანისა და ევროკავშირის ურთიერთობები იდეალური არასოდეს ყოფილა, რაც გამოწვეული იყო აზერბაიჯანში ადამიანის უფლებების დაცვის არასახარბიელო მდგომარეობითა და რუსეთსა და დასავლეთს შორის პოლიტიკური ბალანსის შენარჩუნების სურვილით. საქართველოსგან განსხვავებით, რომელიც დასავლეთთან ინტეგრაციის სურვილზე ღიად საუბრობს, აზერბაიჯანს მსგავსი სურვილი საჯაროდ არასოდეს გაუჟღერებია. მეტიც, აზერბაიჯანმა უარი თქვა ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე, რის შემდეგაც აზერბაიჯანისა და ევროკავშირის ურთიერთობებში ხანგრძლივი პაუზა დადგა.

აზერბაიჯანი ფართობით, მოსახლეობით და ეკონომიკური პოტენციალით ყველაზე დიდი ქვეყანაა სამხრეთ კავკასიაში. ასევე ევროკავშირის უდიდესი სავაჭრო პარტნიორია რეგიონში. აზერბაიჯანის გადაუჭრელი პრობლემა სომხეთთან (მთიანი ყარაბაღი) უსაფრთხოების თვალსაზრისით ევროკავშირისთვის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, შეიძლება უფრო დიდ გამოწვევასაც ვიდრე საქართველო-რუსეთის ომი 2008 წელს. შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირის ექსპერტების მიერ აზერბაიჯანი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი ქვეყანაა.

2003 წელს საქართველოში მომხდარი ვარდების რევოლუციის შემდეგ ქვეყნის სწრაფვამ დასავლური განვითარებისკენ ყურადღება მიიქცია და გადაანაცვლა აზერბაიჯანის და სომხეთის თვალთახედვა. ევროკავშირის სტრატეგიის წარმატება უმეტესად დამოკიდებული იქნება იმაზე თუ როგორ იმუშავებს ეს სტრატეგია აზერბაიჯანისთვის. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტორების გაანალიზებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ევროკავშირი-აზერბაიჯანის ურთიერთობებზე და იმ შეხედულებებზე, რაც ხელს უშლის თანამშრომლობის იმ მიმართულებების

მეცნიერულად ჩამოყალიბებას, რა მიმართულებებითაც უნდა განვითარდეს ევროკავშირის და აზერბაიჯანის ურთიერთობები.

აზერბაიჯანი, ენერგეტიკული რესურსებიდან გამომდინარე, საკუთარ თავს კასპიის ზღვის ნაწილად უფრო თვლის, ვიდრე შავი ზღვის ნაწილად. ევროკავშირის გადმოსახედიდან კასპიის ზღვა მნიშვნელოვანი არეალია ენერგეტიკული თვალსაზრისით, მაგრამ ის მისი გავლენის სფეროებში არ შედის. რაც შეეხება მიმდინარე პროცესებს და პერსპექტივებს, საუბარია ევროკავშირში ინტეგრაციის ხელშეწყობაზე და ევროკავშირისა და აზერბაიჯანის პარტნიორობაზე.

აზერბაიჯანის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში მითითებულია, რომ ევროპაში და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანება წარმოადგენს მეორე მნიშვნელოვან პრიორიტეტს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შემდეგ, ხოლო რეალობაში აზერბაიჯანი ეწევა დაბალანსებულ საგარეო პოლიტიკას, ნაკლებად ამბიციურს ევროკავშირთან დაკავშირებით და პროაქტიურს რუსეთის მიმართ, რათა ამ უკანასკნელის გაღიზიანება არ გამოიწვიოს. ბევრი მიიჩნევს, რომ აზერბაიჯანის დაბალანსებულ პოლიტიკას მისი მდებარეობა განაპირობებს. აზერბაიჯანის მიმდინარე კონფლიქტი სომხეთთან წარმოადგენს მთავარ პოლიტიკურ დღის წესრიგს.

აზერბაიჯანის მოსახლეობასა და პოლიტიკურ ლიდერებს ეშინიათ, რომ ორმხრივი ურთიერთობების გაფუჭებამ შესაძლოა რუსეთის მხრიდან სავიზო რეჟიმის შემოღება გამოიწვიოს იმის ფონზე, რომ აზერბაიჯანის ერთ მილიონზე მეტი მოქალაქე რუსეთში მუშაობს და ცხოვრობს. ეს სცენარი, რომელიც რუსეთმა ერთხელ უკვე გაითამაშა საქართველოს მიმართ, როგორც სასჯელი ქვეყნის პროდასავლური პოლიტიკის გამო, მიზნად დიდი რაოდენობის უმუშევარი მოსახლეობის ქვეყანაში ჩადინებას და ეკონომიკური არეულობის გამოწვევას ისახავდა.

აზერბაიჯანისთვის, ასევე უდიდეს საფრთხეს და საშიშროებას წარმოადგენს რუსეთის მიერ სომხეთის აქტიური მხარდაჭერა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის საკითხში. ექსპერტების უმრავლესობას სწორედ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი მიაჩნია აზერბაიჯანზე გავლენის მოხდენის მთავარ ბერკეტად და მექანიზმად.

ენერგეტიკული თანამშრომლობის შესახებ ევროკავშირსა და აზერბაიჯანს შორის ხელმოწერილ მემორანდუმში აზერბაიჯანი მოხსენებულია, როგორც ევროკავშირის „სტრატეგიული პარტნიორი ქვეყანა“ ენერგეტიკის სფეროში. მემორანდუმი მიზნად ევროპის ენერგომიწოდების უსაფრთხოების გაზრდას და აზერბაიჯანის ევროპის ენერგეტიკულ ბაზარში ინტეგრაციას ისახავს. თავის მხრივ, რუსეთმა გამოიყენა ევროპის გადაუწყვეტელობა „ნაბუკოს“ პროექტთან დაკავშირებით და შეძლო აზერბაიჯანი დაერწმუნებინა იმაში, რომ ამ უკანასკნელს მისთვის მიეყიდა გაზი, რითიც მონოპოლია დაიმკვიდრა ევროპულ გაზის ბაზარზე.

თავი 3.

თანამშრომლობის შედეგები და პერსპექტივები

3.1. ევროკავშირის წინაშე არსებული გამოწვევები

მკვლევარებისა და ანალიტიკოსების გარკვეული ჯგუფი ღიად საუბრობს, რომ ევროკავშირი დღეისათვის, მრავალმხრივ კრიზისშია. თუ ევროკავშირის ისტორია გადავხედავთ, ნათლად დავინახავთ, რომ გაერთიანება სწორედ კრიზისების დაძლევის გზით ვითარდებოდა, თუმცა, როგორც ანალიტიკოსები აღნიშნავენ, ევროკავშირი ახლა, შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებულად რთულ ვითარებაში იმყოფება. ერთის მხრივ, სახეზე გვაქვს ლტოლვილების პრობლემა, მეორეს მხრივ კი, ნაციონალისტური და ევროსკეპტიკური განწყობების აღზევება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რასაც თან ერთვის, კავშირიდან ბრიტანეთის გასვლის გადაწყვეტილებით განპირობებული გამოწვევები. ევროკავშირის სტაბილურობას სულ უფრო მეტ პრობლემებს უქმნის მზარდი ტერორიზმის საფრთხეც.

საგულისხმოა, რომ ამ ყველაფრის ფონზე სულ ცოტა ხნის წინ საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ულტრანაციონალისტური ძალის გამარჯვების შემთხვევაში ევროკავშირის დაშლის შესაძლებლობასაც კი წინასწარმეტყველებდნენ. 2016 წლის ნიდერლანდების საპარლამენტო არჩევნებში, ისევე როგორც, საფრანგეთის 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებსა და გერმანიის 2017 წლის ბუნდესტაგის არჩევნებში, ასეთმა ძალებმა გამარჯვება ვერ მოიპოვეს. შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე ეტაპზე ულტრანაციონალიზმისა და ევროსკეპტიციზმის მომხრეთა მიერ პოლიტიკური ბერკეტების ხელში აღების საშიშროება მოხსნილია. მიუხედავად ამისა, სხვა ზემოაღნიშნული გამოწვევები კვლავ უქმნის საფრთხეს კავშირის სტაბილურობასა და მის მთლიანობას. ჯერ კიდევ რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა შედეგს მოუტანს BREXIT-ი და მიგრაციული კრიზისი ევროკავშირის ერთიანობას.

ევროკავშირის წევრი ქვეყნები და მისი ინსტიტუტები მომავალი წლების განმავლობაში შეეცდებიან, მოაგვარონ არსებული მრავალი პრობლემა და შეარბილონ მათი შედეგები მეტი კონსოლიდაციის, კავშირის პოლიტიკის რეფორმირების, მისი

მეტი დემოკრატიულობის უზრუნველყოფის, მოსახლეობისა და მის ინტერესთა გამომხატველი ჯგუფების მეტი ჩართულობის, ევროკომისიის მეტი ანგარიშვალდებულების მეშვეობით, ასევე შეეცდებიან ევროკავშირის ერთიანი თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის გაძლიერებას. ამ ზომების შედეგად უნდა გაძლიერდეს ევროკავშირის ინსტიტუტები, უფრო მეტად უნდა გაღრმავდეს კავშირი და დამყარდეს მეტი კონსენსუსი.

რაც შეეხება „ბრექსიტთან“ დაკავშირებულ პრობლემებს, როგორც ცნობილია, დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვების გადაწყვეტილებას, წინ უძღოდა ევროკავშირის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება იმის შესახებ, კავშირში დარჩენის შემთხვევაში ბრიტანეთს მიეცემოდა უფლება, არ გაეტარებინა ევროკავშირის დონეზე მიღებული ის კანონები, რომლებიც, მისი აზრით, არ შეესაბამებოდა მის ინტერესებს. მართალია, ბრექსიტის რეფერენდუმის დადებითი შედეგის (კავშირიდან გამოსვლის) გამო ეს გადაწყვეტილება აღარ შევიდა ძალაში, მაგრამ მან სერიოზული პრეცედენტი შექმნა. რეალურად, გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ სხვა ქვეყნებმაც მოითხოვონ მსგავსი პირობები.

3.2. საქართველოს ევროპული პერსპექტივები

მიუხედავად ევროკავშირის წინაშე მდგარი რიგი სერიოზული გამოწვევებისა, საქართველოს საგარეო პოლიტიკური მისწრაფება კვლავ ევროკავშირთან მეტი დაახლოებაა.

ვიზალიბერალიზაციის შესახებ ერთი შეხედვით ტექნიკურ გადაწყვეტილებას ცალსახად პოლიტიკური დატვირთვა გააჩნია და საქართველოს დეკლარირებული საგარეო პოლიტიკური მიზნის განხორციელების გზაზე უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. საქართველოს მოქალაქეებისთვის დაუბრკოლებელი გადაადგილება თავისუფალ სამყაროში ნიშნავს არა მხოლოდ მეტ კავშირებს და ევროპული ბაზრის ათვისების გაზრდილ შესაძლებლობას, არამედ საზოგადოებებს შორის ურთიერთობების დამყარებასა და განვითარებას.

თუმცა, საქართველოს საგარეო პოლიტიკური მისწრაფებები ბევრად უფრო დიდია, ვიდრე თავისუფალი მიმოსვლა ევროპის კონტინენტზე. ვიზალიბერალიზაციის ოფიციალურად ძალაში შესვლის შემდეგ ყველაზე აქტუალურ საკითხს ევროკავშირთან პარტნიორობის შემდეგი ეტაპი წარმოადგენს. როგორც ყველასთვის ნათელია, საქართველო არ აპირებს ვიზალიბერალიზაციაზე გაჩერებას და ევროკავშირში საბოლოო გაწევრიანებისთვის აგრძელებს მუშაობას. თუმცა, ჯერ კიდევ მსჯელობის საგანს წარმოადგენს ის, თუ როგორი უნდა იყოს საქართველოს სამოქმედო გეგმა წევრობის საბოლოო მიზნის მისაღწევად: პოლიტიკის წარმართვა უკვე არსებული თანამშრომლობის ფორმატების ფარგლებში, თუ ახალი ფორმატების შექმნაზე მუშაობა და მათი შემდგომი ინსტრუმენტალიზაცია.

ევროპის პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და სავაჭრო სივრცესთან დაახლოებასთან ერთად, საქართველო ევროკავშირთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობისა და ევროკავშირში გაწევრიანებისთვის იბრძვის მიუხედავად, იმისა, რომ ევროკავშირის წარმომადგენლები ხშირად ხაზს უსვამენ, რომ ასოცირების ხელშეკრულება არ მოიცავს გაწევრიანების პირობას. როგორც სხვადასხვა ოფიციალური დოკუმენტები ცხადჰყოფს, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საქართველოსთვის მთავარ სტრატეგიულ მიზანს ევროკავშირის წევრობა წარმოადგენს.

საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობების ისტორიულ გამოცდილებაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ინსტიტუტების მშენებლობისა და დემოკრატიული განვითარების მიმართულებით მიღწეულ პროგრესს საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადაჰყავს. შესაბამისად, საქართველოს შემდგომი დემოკრატიკაზიის პროცესით იზრდება ალბათობა და შესაძლებლობა იმისა, რომ საქართველო პარტნიორობის ხარისხობრივად ახალ საფეხურზე გადავიდეს.

3.3. სოციოლოგიური გამოკვლევა

საქართველოს საგარეო ორიენტაცია

მოქალაქეების გამოკითხვის
ანკეტა
საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად

თბილისი

2018 წ.

გამოკვლევის თემა: ქ. თბილისში მცხოვრებ მოქალაქეთა აზრი საქართველოს საგარეო ორიენტაციასთან დაკავშირებით.

გამოკვლევის მიზანი: საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პროცესების გავლენა საზოგადოებრივ აზრზე საგარეო ორიენტაციასთან დაკავშირებით.

გამოკვლევის მეთოდიკა: შემთხვევითი შერჩევის პრინციპი.

გამოკითხულთა რაოდენობა: 120 რესპონდენტი

გამოკითხულთა პასპორტული მონაცემები:

ქალი - 67 რესპონდენტი; კაცი - 53 რესპონდენტი;

ასაკი: (18-30 წ. 35 %), (31-40 წ. 25 %), (41-50 წ. 20 %), (50 წელს ზემოთ 20 %).

სტუდენტი - 38 %; საჯარო მოსამსახურე - 8 %; ბიზნესში დასაქმებული - 32 %;

პენსიონერი - 6 %; უმუშევარი - 16 %.

გამოკვლევის დრო და ადგილი: ქ. თბილისი, 2018 წლის მაისი.

1. თქვენი აზრით, საქართველოს საგარეო ორიენტაციის რომელი მიმართულებაა მისაღები?

- ა) დასავლეთი (ევროპა-ამერიკა).
- ბ) რუსეთი.
- გ) აღმოსავლეთის სახელმწიფოები.

2. მოცემული პასუხებიდან, თქვენი აზრით, რომელი უფრო შეესაბამება სინამდვილეს?

- ა) საქართველო ისტორიულად დასავლური ორიენტაციის სახელმწიფო იყო.
- ბ) საქართველო ისტორიულად რუსული ორიენტაციის სახელმწიფო იყო.
- გ) საქართველო ისტორიულად აღმოსავლური ორიენტაციის სახელმწიფო იყო.

3. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოხდა თუ არა საქართველოს დაახლოება დასავლურ სამყაროსთან?

- ა) მოხდა საგრძნობი დაახლოება.
- ბ) მოხდა უმნიშვნელო დაახლოება.
- გ) დაახლოება არ მომხდარა.

4. თქვენი აზრით დასავლეთთან დაახლოვება საქართველოსთვის სიკეთის მომტანია თუ ზიანის?

- ა) სიკეთის მომტანია.
- ბ) ზიანის მომტანია.

5. თქვენი აზრით, რა სიკეთე მოაქვს საქართველოს დაახლოებას დასავლეთთან?

- ა) მკვიდრდება ცხოვრების დემოკრატიული წესი.
- ბ) დღეს გაცილებით უფრო მეტად არის დაცული ადამიანის უფლებები, ვიდრე საბჭოთა პერიოდში იყო.
- გ) ამოქმედდა დასავლური ინსტიტუციები.
- დ) გაუმჯობესდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები.
- ე) საქართველო დღეს უფრო არის დაცული საგარეო საფრთხეებისგან.

6. თქვენი აზრით, რა ზიანი მოაქვს საქართველოსთვის დასავლურ ორიენტაციას?

- ა) დასავლური ღირებულებების შემოსვლა ანგრევს ქართულ ტრადიციებს.
- ბ) დასავლეთთან დაახლოების შემდეგ გაუარესდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები.
- გ) დასავლეთთან დაახლოების შემდეგ გაიზარდა უმუშევრობა.
- დ) დასავლეთთან დაახლოების შემდეგ საქართველო ნაკლებად არის დაცული საგარეო საფრთხეებისგან.

**საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით
2018 წლის მაისში ქ. თბილისში ჩატარებული
სოციოლოგიური კვლევის შედეგები**

1. თქვენი აზრით, საქართველოს საგარეო ორიენტაციის რომელი მიმართულებაა მისაღები?

გამოკითხულთა 64 % მხარს უჭერს საქართველოს დასავლურ ორიენტაციას, 36 %-ის აზრით საქართველომ ორიენტაცია რუსეთისკენ უნდა აიღოს.

2. ისტორიულად, თუ რა პოლიტიკური ორიენტაციის სახელმწიფო იყო საქართველო, მოსაზრებები შემდეგნაირად გადანაწილდა:

58 %-ის აზრით საქართველო ისტორიულად დასავლური ორიენტაციის ქვეყანა იყო; 41 %-ის აზრით საქართველო ისტორიულად რუსეთისკენ იყო ორიენტირებული; 1 %-ს მიაჩნია, რომ საქართველო ისტორიულად აღმოსავლეთის სახელმწიფოებისკენ იყო ორიენტირებული.

3. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოხდა თუ არა საქართველოს დაახლოება დასავლურ სამყაროსთან?

გამოკითხულთა 82 %-ის აზრით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო მნიშვნელოვნად დაუახლოვდა ევროპას და დასავლეთს; 12 %-ის აზრით საქართველოს ევროპასთან დაახლოება უმნიშვნელოა; 6 %-ს მიაჩნია, რომ საქართველოს ევროპასთან დაახლოება არ მომხდარა.

4. თქვენი აზრით დასავლეთთან დაახლოება საქართველოსთვის სიკეთის მომტანია თუ ზიანის?

გამოკითხულთა 75 %-ის აზრით დასავლური ორიენტაცია საქართველოსთვის სიკეთის მომტანია, გამოკითხულთა 25 %-ის აზრით ზიანის მომტანია.

5. დასავლური ორიენტაციის მიერ მოტანილ სიკეთეთა შორის გამოკითხულები ხაზს უსვამენ შემდეგ მომენტებს:

- მკვიდრდება ცხოვრების დემოკრატიული წესი (44%);
- დღეს გაცილებით უფრო მეტად არის დაცული ადამიანის უფლებები, ვიდრე საბჭოთა პერიოდში იყო (15%);
- ამოქმედდა დასავლური ინსტიტუციები (22%);
- გაუმჯობესდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები (4%);
- საქართველო დღეს უფრო არის დაცული საგარეო საფრთხეებისგან (15%).

6. დასავლური ორიენტაციის შედეგად მოტანილ ზიანთა შორის გამოკითხულები ხაზს უსვამენ შემდეგ მომენტებს:

- დასავლური ღირებულებების შემოსვლა ანგრევს ქართულ ტრადიციებს (11%);
- დასავლეთთან დაახლოების შემდეგ გაუარესდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები (35%);
- უმუშევრობის ზრდა (25 %);

- დასავლეთთან დაახლოების შემდეგ საქართველო ნაკლებად არის დაცული საგარეო საფრთხეებისგან (29%).

მოცემული გამოკითხვის მთავარი შედეგი იმაში მდგომარეობს რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი მიმდინარე სოციალური და დემოგრაფიული ფონის მიუხედავად, უმრავლესობა მხარს საქართველოს ევროპულ (დასავლურ) ორიენტაციას უჭერს.

3.3.1 სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგებით ანალიზი საქართველოს საგარეო ორიენტაციასთან დაკავშირებით

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) კვლევის მიხედვით, რომელიც 2018 წლის 20 მარტი-4 აპრილის პერიოდში საქართველოს მასშტაბით (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით) ჩატარდა, გამოკითხულთა 21% ეთანხმება საქართველოს გაწევრიანებას ევრაზიულ კავშირში, 65% კი მიიჩნევს, რომ საქართველო ევროკავშირში უნდა გაწევრიანდეს.¹ წინა კვლევის მიხედვით, ევრაზიულ კავშირში გაწევრიანების მომხრეთა რიცხვი 29% იყო, ევროკავშირში გაწევრიანების მომხრეთა კი 60%.² აღსანიშნავია, რომ ახალი კვლევის მიხედვით, ყველაზე მეტი მომხრე ევრაზიულ კავშირს ეთნიკური უმცირესობების დასახლებებში ჰყავს, ყველაზე ნაკლები კი თბილისში. შესაბამისად, ევროკავშირს ყველაზე მეტი მომხრე თბილისში ჰყავს და ყველაზე ნაკლები უმცირესობათა დასახლებებში.

სამოქალაქო და საექსპერტო საზოგადოება თანხმდება, რომ ბოლო წლებში საქართველოში პრორუსული განწყობები მომძლავრდა. მათი აზრით, რუსული პროპაგანდისა და კრემლის “რბილი ძალის” პოლიტიკის ხელშეწყობით, ქართული საზოგადოების ნაწილს მიეწოდება ცრუ ინფორმაცია, როგორც ევროკავშირში არსებულ ვითარებაზე, ისე რუსეთის შიგნით მიმდინარე პროცესებზე.

¹ https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_March_2018_Public%20Presentation_Georgian_final.pdf

² http://infocenter.gov.ge/uploads/files/2018-01/1516095750_ndi-poll_december-2017_issues_geo_vf.pdf

სხვადასხვა კვლევის თანახმად, გაზრდილია ევროკავშირისა და ნატო-ში საქართველოს გაწევრიანების მოწინააღმდეგეთა რაოდენობა, განსაკუთრებით ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

2016 წლის თებერვალში, CRRC საქართველომ და NDI-მ ჩაატარეს კვლევა “პარტიების მხარდაჭერა და საგარეო პოლიტიკა”, რომლის ფარგლებში სავსე სამუშაოები ჩატარდა თბილისში, მცხეთაში, საგარეჯოში, ფოთსა და ბათუმში. ფოკუს ჯგუფებად (15 ფოკუს ჯგუფი, თითო ფოკუს ჯგუფში +/- 10 მონაწილე) შეირჩნენ “პატრიოტთა ალიანსის” მხარდამჭერები, გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის (ნინო ბურჯანაძე) მხარდამჭერები და ე.წ. გადაუწყვეტელი ამომრჩევლები (მოქალაქეები, რომლებიც 2016 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ემხრობოდნენ).

მართალია, კვლევის შედეგები საზოგადოებაში არსებულ ზოგად ტენდენციებს არ ასახავს, თუმცა გადმოსცემს კონკრეტული ფოკუს ჯგუფების განწყობებს. ირკვევა, რომ ქვეყნის ევროპული და ევრო-ატლანტიკური მისწრაფებისადმი სკეპტიკური განწყობები ნაწილობრივ, გამოწვეულია საზოგადოების ინფორმირებულობის ნაკლებობით, თუ რას წარმოადგენს ევროკავშირი და რა შესაძლებლობები ეძლევა საქართველოს, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ხელმოწერით.

კვლევის თანახმად, პრორუსულად განწყობილი ფოკუს ჯგუფები ყურადღებას ამახვილებენ საქართველო-რუსეთის “საერთო ისტორიულ წარსულზე” და მათთვის რუსეთი გაცილებით გასაგებია, როგორც ენის, ისე ცხოვრების სტილის თვალსაზრისით. გარდა ამისა, გავრცელებული მოსაზრებაა, რომ რუსულ ბაზარზე გასვლა გაცილებით მარტივია ვიდრე ევროკავშირის ბაზარზე მოხვედრა.

არსებული ევროსკეპტიციზმის მიუხედავად, ევროკავშირი მაინც რჩება ყველაზე მიმზიდველ და კონკურენტუნარიან რეგიონულ პროექტად. ევროკავშირისა და ევრაზიის კავშირის ბაზრების შედარებისას, ფოკუს ჯგუფების უმრავლესობა ემხრობა ევროკავშირში გაწევრიანებას.

საქართველოში დღეს მოქმედი სოციოლოგიური კვლევის სამსახურები NDI და IRI საკითხს დასავლურ ორიენტაციასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, ზედმეტად აკონკრეტებენ და ნატოს, ევროკავშირისა და აშშ-ს ამ ჭრილში ცალ-ცალკე განიხილავენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ სიტუაციაში რესპონდენტებისთვის იკარგება მთავარი - დასავლეთის ცნება. ბუნებრივია, რომ კონკრეტულ აუცილებელია და საინტერესოც, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მაგალითად, ნატო და დასავლეთი იდენტური ცნებები არ არის. არც ევროკავშირი და დასავლეთი არ არის იდენტური ცნებები და არც აშშ და დასავლეთი. აშშ, ევროკავშირი, ნატო უფრო პოლიტიკური, სამხედრო და სახელმწიფო ორიენტირებია, ხოლო ზოგადად დასავლეთი უფრო კულტურული და ღირებულებითი ორიენტირია.

2018 წელს IRI-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით კი საქართველოს ნატოში გაწევრიანებას მხარს 50 პროცენტი უჭერდა, მაგრამ ნატოს წევრობის მოწინააღმდეგე მხოლოდ 9 პროცენტი იყო. აქ უთუოდ ჩნდება კითხვის ნიშანი იმიტომ, რომ გამოკითხულთა მხოლოდ 59 პროცენტის აზრი არის ერთმნიშვნელოვნად დაფიქსირებული, ხოლო 41 პროცენტის აზრი დაკარგულია, რაც მეცნიერული კვლევისათვის შეუსაბამოა. ჩვენი აზრით, ამგვარ შეუსაბამობას სწორედ საკვლევი ცნებების ზედმეტი კონკრეტიზაცია იწვევს, თუმცა როგორც არ უნდა ვატრიალოთ ეს სოციოლოგიური მონაცემები და პროცენტები, ერთი რამ უდავოა: საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ამ ეტაპზე დასავლეთისკენ არის ორიენტირებული, როგორც კულტურული, ასევე პოლიტიკური და კოლექტიური უსაფრთხოების თვალსაზრისითაც. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივი აზრი არ არის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული სიდიდე, ის იცვლება პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული პროცესების კვალდაკვალ. ამიტომ დღეს არსებული რეალობა მომავალში შეიძლება შეიცვალოს იმის შესაბამისად, თუ როგორი იქნება საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება, რის დაბეჯითებით პროგნოზირება შეუძლებელია.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში მიმოვიხილეთ ერთი მხრივ, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების - საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი - და მეორეს მხრივ, ევროკავშირის ურთიერთობები და მისი პერსპექტივები.

ჩვენს მიერ ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებით დადასტურდა ჩვენი ჰიპოთეზა - ევროინტეგრაცია არის საქართველოს არჩევანი, რომელიც უზრუნველყოფს მის დემოკრატიულ განვითარებას, სოციალურ - ეკონომიკურ წინსვლას. აღმოსავლეთ პარტნიორობის ხელშეკრულება კი ამ გზაზე მნიშვნელოვანი ეტაპია. საქართველოსგან განსხვავებით, ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის არჩევანი არ გახლავთ, რომ მოახდინოს ინტეგრირება ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში.

ისეთ კონფლიქტურ არეალში, როგორც სამხრეთ კავკასიის რეგიონია, ძალზედ მნიშვნელოვანია ევროკავშირის აქტიური ჩართულობა, დასავლური ღირებულებების გაზიარება, ადამიანის უფლებების დაცვა, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა.

ყველა მნიშვნელოვანი მიზნის მიღწევის, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმების და ვიზალიბერალიზაციის ამოქმედების შემდეგ, საქართველოსთვის ერთგვარი ბუნდოვანების პერიოდი დაიწყო. აღმოსავლეთ პარტნიორობით გათვალისწინებული ყველა მიზანი უკვე მიღწეულია, ახალი მიზნები კი დასახული არ არის. ამასთან, დიდია სხვაობა საქართველოს მოსახლეობის მხრიდან სრული ინტეგრაციის მოლოდინსა და ევროკავშირის რეალურ შესაძლებლობებს შორის. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ევროკავშირში გაწევრიანება, ამ ეტაპისთვის შორეულ პერსპექტივად რჩება, საქართველოს მთავრობამ ყურადღება სამ გამოწვევაზე უნდა გაამახვილოს.

1. მოსახლეობაში ევროკავშირის საწინააღმდეგო დამოკიდებულება არ უნდა გამძაფრდეს და ქვეყანამ დემოკრატიული განვითარების გზას არ უნდა გადაუხვიოს;

2. ნატოში გაწევრიანების მცდელობასთან ერთად, საქართველო უსაფრთხოებისა და სამხედრო სფეროში ურთიერთობის გაღრმავებას უშუალოდ ევროკავშირთანაც უნდა შეეცადოს.

3. საქართველომ, ევროკავშირის საერთო ბაზარზე სრული ინტეგრაციის გზები უნდა ეძიოს, რაც მაგალითად, ქართველი მუშახელისთვის ევროკავშირის შრომის ბაზრის გახსნასაც მოიაზრებს.

ევროკავშირში სამუშაო ძალის თავისუფალი გადაადგილების მისაღწევად (რაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების ოთხი თავისუფლებიდან ბოლო, დარჩენილი თავისუფლებაა, რომელიც ამ ეტაპზე საქართველოსთვის არ არის გათვალისწინებული), ერთ-ერთი გზა ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის მსგავსი ორგანიზაციის დაარსებაა, რომელიც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მქონე აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებს მოიცავს. ეს ქმედება, თავის მხრივ, ევროპის ეკონომიკური სივრცის ხელმისაწვდომობას შეუწყობს ხელს. ამავდროულად, საქართველომ თავი უნდა შეიკავოს ევროკავშირის ისეთ ინსტიტუციონალურ ჩარჩოებში (მაგალითად, ევროკავშირის საბაჟო კავშირში) მონაწილეობაზე, რომლებიც უმნიშვნელო სარგებლის მომტანია და ამასთან, საგარეო ვაჭრობის სფეროში საქართველოს ავტონომიას შეზღუდავს. რაც შეეხება უსაფრთხოებისა და სამხედრო სფეროებს, საქართველომ ნატოში გაწევრიანებისთვის მუშაობა უნდა გააგრძელოს, მაგრამ, ამავდროულად, ევროკავშირის სამხედრო შესაძლებლობების განვითარების პროცესსაც ყურადღებით უნდა დააკვირდეს და ამ პროცესში შეძლებისდაგვარად ჩაერთოს.

და ბოლოს, საქართველოს მთავრობამ ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესის უწყვეტობა უნდა უზრუნველყოს, რადგან ამ უკანასკნელის შეფერხება ქვეყნის ევროპეიზაციის შეფერხებასაც გამოიწვევს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩიტაძე ნ, გეოპოლიტიკა, თბილისი გამომცემლობა“უნივერსალი“ 2011;
2. კაპანაძე ს, ევროკავშირის პოლიტიკა, თბილისი 2006;
3. ქოჩლაძე მ, გოჩიტაშვილი თ, ჭიაბრიშვილი ი, მაღრაძე ნ, კვარაცხელია თ. საქართველო და ევროპის ენერგეტიკული გაერთიანება-ევროინტეგრაციის გამოწვევები, თბილისი, 2015;
4. დეკანოზიშვილი მ, ევროკავშირი სამხრეთ კავკასიაში - სამხრეთ კავკასია ევროკავშირში? თბილისი, 2004;
5. გაჩეჩილაძე რ, ევროინტეგრაციის პროცესი სამხრეთ კავკასიაში, თბილისი, 2013;
6. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, ევროკავშირის შეთანხმება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ და საქართველო, 2014;
7. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა: ანტიკორუფციული რეფორმების მონიტორინგი, თბილისი 2010;
8. საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელება საქართველოში, ბრიუსელი, 2014;
9. ლაზარაშვილი ე, სამხრეთ კავკასიის პრობლემები და გამოწვევები, 2014;
10. ვარდიშვილი გ, ფანჭულიძე ე, მეტი საქართველო ევროკავშირში - საქართველოს „ევროპული პერსპექტივა“, პოლიტიკის დოკუმენტი, გამოცემა 5, აპრილი, 2017;
11. ლეზანიძე ბ, საქართველოს ევროპული ინტეგრაცია: რა იქნება აღმოსავლეთ პარტნიორობის შემდეგ?, პოლიტიკის დოკუმენტი, გამოცემა 6, აპრილი, 2017;
12. European Initiative Liberal Academy Tbilisi, რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში, თბილისი, 2016;
13. Börzel and Lebanidze, 'Börzel et al. 2015;
14. European Commission, 'Review of the European Neighbourhood Policy;

15. Mkrtchyan T, Huseynov T, Gogolashvili Kh, The European Union and the South Caucasus Three Perspectives on the Future of the European Project from the Caucasus, 2009;
16. Coppieters B, Europeanization and Conflict Resolution, 2004;
17. Boonstra J, Delcour L, A broken region: evaluating EU policies in the South Caucasus, Spain, 2015;
18. Tamm S, WEAKNESS AS AN OPPORTUNITY: EU POLICY IN THE SOUTH CAUCASUS, 2009;
19. Country Strategy paper, European Neighbourhood and Partnership Instrument. Armenia, 2007-13;
20. Alieva L, EU and South Caucasus, CAP Discussion Paper, Bertelsmann Group for Policy Research, 2008;
21. Nurieyev E, The EU Policy in the South Caucasus: The Case of Post-Soviet Azerbaijan. New Opportunities and Future Prospects, German Institute for International and Security Affairs Working Paper, Berlin, 2006;
22. Georgian Foundation for Strategic and International Studies, The EU in the South Caucasus: By What Means, to What Ends? Tbilisi, 2004;
23. Alieva L, Energy security in the South Caucasus: views from the region, 2015;
24. Raquel M, Security in the South Caucasus. Th EU, Nato and Russia, 2013;
25. Averde D, Competing rationalities: Russia, the EU and the shared neighbourhood;
26. Наджафов Э Н, Безопасность Южного Кавказа в политике Азербайджана, региональных и глобальных организаций, 2004;
27. Юматов К В, ЭВОЛЮЦИЯ ПОЛИТИКИ ЕВРОПЕЙСКОГО СОЮЗА НА ЮЖНОМ КАВКАЗЕ, 2012;

URL:[HTTP://CYBERLENINKA.RU/ARTICLE/N/EVOLYUTSIYA-POLITIKI-EVROPEYSKOGO-SOYUZA-NA-YUZHONOM-KAVKAZE](http://cyberleninka.ru/article/n/evolyutsiya-politiki-evropeyskogo-soyuza-na-yuzhnom-kavkaze)

28. Грузинский институт исследований России , Политика Евросоюза на Кавказе,2011.
- Гузенкова Т С, Политика Евросоюза в отношении стран постсоветского пространства в контексте евразийской интеграции, 2015;
29. Бзежинский З, Великая шахматная доска, 2007;
30. Громько А ч, Европейский союз в поиске глобальной роли: политика, экономика, безопасность, 2015;
31. Наджафов Э Н, Безопасность Южного Кавказа в политике Азербайджана, региональных и глобальных организаций, 2004;
- URL: <http://www.dissercat.com/content/bezopasnost-yuzhnogo-kavkaza-v-politike-azerbaidzhana-regionalnykh-i-globalnykh-organizatsii>
- 32.Гегелашвили Н.А. Политика ЕС и США на Южном Кавказе и в Большом Причерноморье, 2012;
- URL: <http://magazines.russ.ru/vestnik/2012/33/g15.html>
33. Гусейнов В.А, южный кавказ- тенденции и проблемы развития, МОСКВА,2008;
- URL: <http://www.isoa.ru/docs/kavkaz.pdf>
34. Мурадян И- ИНТЕРЕСЫ ЕВРОПЕЙСКОГО СОЮЗА НА ЮЖНОМ КАВКАЗЕ И КАРАБАХСКАЯ ПРОБЛЕМА,2004;
35. СЕМЕНОВ В С, ПОЛИТИКА ЗАПАДНЫХ ДЕРЖАВ НА ЮЖНОМ КАВКАЗЕ В КОНЦЕ XX – НАЧАЛЕ XXI ВВ, Белгород,2015;
- URL:http://dekanat.bsu.edu.ru/f.php/1/disser/case/fileavtoref/fileavtoref/408_Avtoreferat_Semena_nova_ITOG.pdf
36. РЕНЦИЯ В РЕГИОНЕ ЮЖНОГО КАВКАЗА: ПОЛИТИКА СОСЕДСТВА ЕС И ИНТЕРЕСЫ РОССИИ, Москва ,2013;
37. Российская Академия Наук Институт Черноморье- Каспий-Поиск Новых Форматов Безопасности и Сотрудничества, Москва,2011;

URL: <http://www.ieras.ru/grsredcher.htm>

38. Иноземцев В. Л. Как Европе выжить без российского газа;

URL: <http://daily.rbc.ru/opinions/economics/15/12/2014/548b02622ae5961787454bbc>